ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1652241

ნომერი: AR1272544

თარიღი : 12.12.2014

გაცემის თარიღი : 19.12.2014

გაცნობის თარიღი : 19.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ; ქალაქი თბილისი , სოფ. დიღომი / ქალაქი თბილისი , სოფ. დიღომი , (ნაკვ. 038/340) მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სიმონი ყრუაშვილი პ/ნ 35001040592
- ათონელის ქ. N29

ორგანიზაცია:
- შპს ამხანაგობა ჩვენი სახლი კოდი: 404991167

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-

17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1272544 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: ##01.72.14.038.341, 01.72.14.038.829) გერთიანებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.829) №1232556 გადაწყვეტილებით გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით. ხოლო მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.341) №549 გადაწყვეტილებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, რომელშიც №481974 გადაწყვეტილებით შევიდა ცვლილება და საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება შეიცვალა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლით.

არქიტექტურის სამსახური ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით არ არის წინააღმდეგი გაერთიანდეს თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთები, თუმცა ვინაიდან ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების გაერთიანების შემთხვევაში წარმოიქმნება ახალი საკადასტრო ერთეული, საჭირო იქნება ცვლილების შეტანა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.